

DOI: 10.52340/PUTK.2022.26.03

**მიხეილ ჯავახიშვილის
ერთი მოთხრობის ისტორიისათვის
FOR THE HISTORY OF ONE STORY
BY MIKHEIL JAVAKHISHVILI**

თამარ გოგოლაძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

Tamar Gogoladze

Gori State University
Gori, Georgia

ABSTRACT

A distinguished Georgian writer and a master of prose, Mikheil Javakhishvili (1880-1937), following “Jako’s Lodgers”, created another story, “A Cup”, which was somewhat forgotten by literary experts, being first published in “Mnatobi” magazine (#2-3) in 1928. Later it was included in the collection of the writer’s works. The main character of the story is Nodar Shubidze, a chemistry scholar and inventor, who left Georgia immediately after the arrival of the Bolsheviks, departing for Paris together with other emigrant Georgians. After eight years of thinking, evaluating, and analyzing political events, despite the fact that the newly-formed Soviet Union is threatened by the war on the part of Europe, he is determined to return there, to his homeland, but with something new, with a gift - a porcelain cup created as a result of the experience obtained in a tablecloth factory, selfless work, and experiments, which will create new opportunities for the chemical industry of the newly-established Soviet Georgia.

“A Cup” distinctly demonstrated the clash of ideas that encompassed the nation in the process of introducing novelty. Here, the artistry is perfectly combined with the main goal of the writer to show this process, however, the end of the story still poses a question to the main character and the reader. The purpose of the article is to show these sides of M. Javakhishvili’s story and the political process that manifests the Georgian reality of the 1920s in a way that to some extent is implicit.

საკვანძო სიტყვები: ქართული პროზა, საბჭოთა ეპოქა, მიხეილ ჯავახიშვილი, მოთხრობა „ფინჯანი“.

Keywords: Georgian prose, Soviet era, Mikheil Javakhishvili, short story “Pinjani /A Cup”.

ცნობილი ქართველი პროზაიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის (1880-1937) ცხოვრება და შემოქმედება რეპრესიების პერიოდსა და შემდგომად, კიდევ გარკვეული დროის მანძილზე, ნაკლებად იყო დაფასებული. შესწავლილი ლიტერატურათმცოდნეთა მიერ. ამით აიხსნება, ალბათ, ერთგვარი უყურადღებობაც 1928 წელს გამოქვეყნებული მოთხრობა „ფინჯანის“ მიმართაც, რაც გამოხატავდა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მეცნიერ ინტელიგენციას შორის უკეთესი, აყვავებული ქვეყნის ილუზიურ ტენდენციას. თუმცა ეს იქნებ თავად მწერლის განწყობილების გამოხატულებაც იყო. ეპოქა, რაც მოჰყვა 1921 წლის შემდგომ პერიოდს, მწერლობისთვისაც აღმოჩნდა ფსევდოილუზიურიც. რეალიზმი, კრიტიკული რეალიზმი, მოდერნიზმი აღრეულად სხვადასხვა დროს დომინირებულად იქნეს თავს ახლადჩამოყალიბებულ, რუსეთის იმპერიისაგან თავისუფალ, მაგრამ „საბჭოურ“ რელსებზე მოძრავ ქვეყანაში. განსხვავებით მეცხრამეტე საუკუნის მწერლის სოცოკულტურული სახისაგან, რაც, უწინარესად, უკავშირდება ზნეობრივი მისიისა და იდენტობის დამცველის ფუნქციის მქონე ნაციონალური ლიდერის როლს, მოდერნიზმის ეპოქისა და, ზოგადად, მწერლობას მორგებული აქვს კულტურტრეგერბის სტატუსი და ამ ფუნქციით მოქმედებს სოციუმში“ (წიფურია 2010: 11-12) – ასე ახასიათებს ეპოქას ლიტერატურათმცოდნე ბელა წიფურია. მაგრამ არის თუ არა მოდერნიზტული მიმართულების მიხეილ ჯავახიშვილი, რომელსაც საბჭოეთის ეპოქის მკვლევარნი რეალიზმის წარმომადგენლად სახავენ? აღნიშნულ საკითხზე შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა 21-ე საუკუნეში. მკვლევარი მაია ჯალიაშვილი ასეთ დახასიათებას აძლევს XX საუკუნის I ნახევრის ქართულ მწერლობას: „ერთი მხრივ, მოდერნიზმი თავის სხვადასხვა განშტოებით (სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი...) და, მეორე მხრივ, ნეორეალიზმი – ჯავახიშვილის პროზით. ეს ორი ნაკადი „ერთმანეთს ავსებდა და წარმოაჩენდა ეპოქის მაჯისცემას“ (ჯალიაშვილი 2010: 25).

XX საუკუნის 60-იანი წლების ცნობილი კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი (ავტორი მ. ჯავახიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიისა) მას კრიტიკული რეალიზმის გამგრძელებელ-განმავითარებლად მიიჩნევს. იგი იშველიებს ირაკლი აბაშიძის გამონათქვამს, რომ მ. ჯავახიშვილმა „ღირსეულად და მტკიცედ დაამაგრა ჩვენს მწერლობაში ეროვნულ ფესვებზე რეალიზმის ტრადიციები და ამით დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ლიტერატურის შემდგომ გაშლასა და აყვავებას“ (გვერდწითელი 1967, №6: 108). ამასვე ხსნის იმით, რომ XIX საუკუნეში კრიტიკულ რეალიზმს ქართულ ლიტერატურაში არ გამოუწვევია მხატვრული პროზის დიდი აქტივიზაცია. ამიტომ „ქართული რომანისა და ნოველის მომძლავრება გასული საუკუნის მიწურულიდან იწყება და დღემდე გრძელდება, ხოლო ამ საქმეში „თავისი წვლილი შეიტანა მიხეილ ჯავახიშვილმა“ (იქვე). უფრო ქვემოთ კი, ზემოაღნიშნულსაც უმატებს კრიტიკოსი, ჯავახიშვილი „უარყოფითად ეკიდებოდა მათ, ვინც რეალისტურ მეთოდს უგულვებელყოფდა და ლიტერატურისათვის, ცხოვრების ნაცვლად, ახალ საფუძველს, სხვა პირველწყაროს მასალას ეძებდაო“ (იქვე: 109) და ასევე იგი იმოწმებს თავად მწერლის წერილს

(„როგორ ვმუშაობ“). თუმცა აქვე გ. გვერდწითელი აღიარებს, რომ მწერალი კარგად ხედავდა მეცხრამეტე საუკუნის კრიტიკულ რეალიზმსა და მეოცე საუკუნის რეალისტურ მწერლობას შორის არსებულ განსხვავებას. აქვე იგი ასაბუთებს, რომ მწერალი იდგა სოციალიზმის პლატფორმაზე მაშინ, როდესაც უკვე სოცრეალიზმის მკვლევარს მაია ჯალიაშვილს მოჰყავს მ. ჯავახიშვილის წერილიდან („ჩვენი მიწა“), რომ მწერალი რეალიზმს მიიჩნევს მთავარ და ფართო მიმართულებად, მიჯნავს მას ნატურალიზმისაგან და აკეთებს განცხადებას, რომ მწერლის შემოქმედება ამ რეალიზმის დაცვით არ უნდა დამორჩილებოდა ამა თუ იმ პოლიტიკურ-სოციალურ იდეოლოგიასო. ჯალიაშვილი აქვე გადაჭრით აცხადებს, რომ თვით მ. ჯავახიშვილი თავიდანვე გამოირჩეოდა ყველასაგან. მისი პირველი მოთხრობები ამხელენ სრულიად სხვაგვარ ინტერესს თემისა და სტილის თვალსაზრისით. ამიტომაც შეიძლება ვილაპარაკოთ მის რეალიზმზე, როგორც მოდერნიზმის ერთგვარ ალტერნატივაზე. შემდეგ, მოგვიანებით, 1926 წელს მიხეილ ჯავახიშვილმა ის ნაკადი, რომელიც მის სახელს უკავშირდებოდა, უპირველესად, შეაფასა, როგორც ნეორეალიზმი“ (ჯალიაშვილი 2010: 26).

აღნიშნული საკითხი ითხოვს ღრმად გარკვევას თვით ნეორეალიზმის არსში, რაც შემდგომი კვლევის საგნად მივიჩნიეთ. ამჟამად კი XX საუკუნის 20-იან წლებში შექმნილ მ. ჯავახიშვილის ერთ მოთხრობაზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომელშიც მწერალმა პირველად შექმნა ქართველი მეცნიერ-გამომგონებლის სახე, რაც გაკვრით, მხოლოდ სიუჟეტური კუთხით, წარმოაჩინა გურამ გვერდწითელმა.

ფაქტი ერთია, რა მიმართულებას ეკუთვნის მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, თუნდაც განსჯის საკითხი იყოს, მწერალმა განსახილველ მოთხრობაში „ფინჯანი“ სცადა პირველად ერვენებინა მეცნიერი, რომელმაც ცოდნა საზღვარგარეთ მიიღო, მაგრამ ექსპერიმენტის შედეგი სამშობლოსათვის აქვს განკუთვნილი. ამიტომ წამდაუწუმ სათუთად, საგულდაგულოდ ინახავს ფაიფურის ფინჯანს, რომელიც არ ტყდება, ერთი შეხედვით უსახურიცაა, მაგრამ პერსპექტივაში ახალი სახელმწიფოსათვის საჭირო იქნება. ამაზე ოცნებობს ნოდარ შუბიძე, თავისი ქვეყნისათვის უნდა ტექნიკის სიახლე და მზადაა უპასპორტოდ, უფულოდ გადმოლახოს ქვეყნის საზღვრები, რათა მოვიდეს და გააცნოს აღმოჩენა საბჭოეთის მთავრობას. თავისი მიზნებით ჰგავს, ძალიან ჰგავს ნოდარ შუბიძე ცოტა უფრო ადრე (1924) შექმნილ „ჯაყოს ხიზნების“ მთავარ გმირს – თეიმურაზ ხევსთავს: იგივე მეოცნებე ხასიათი, იგივე ბრმა რწმენა, იგივე დამოკიდებულება მეუღლის მიმართ, რომელიც 8 წელია არ უნახავს, არც შვილზე ფიქრობს, აღტაცებული ერთი ფიქრით. „ფინჯანში“ ასახულია ის ჭოჭმანი, რაც უცხოეთში ნამყოფ ქართველს აქვს ახალი, „საბჭოური საქართველოს“ მიმართ, ხოლო თურქეთის საზღვართან შეხვედრილი მეგობარი რომ არწმუნებს: „ჯოჯოხეთს გაუზრბივარ მეთქი, ჯოჯოხეთს“ (ჯავახიშვილი 1959: 196). უფრო გახსნილად და მოკლედ გააგებინა, მდუღარე კილოთი და გალესილი სიტყვებით მოსთქვამდა ქვეყნისა და თავის დაღუპვას, რომ ყველა და ყოველივე ინგრევა, დნება, იწვის, რომ ეს ქვეყანა უზარმაზარ სასაფლაოდ გადაიქცა, სადაც ყველაფერი ჩაკვდა და ჩაიხრჩო. პიროვნებაც

და ადამიანობაც, მორალიც და უფლებაც, შრომაც და სიხარულიც, რომ ხალხი გამხეცდა და ბატონყმობის აღდგენას ნატრულობს“ (ჯავახიშვილი 1959: 197). ნოდარს არ სჯერა საქართველოდან გამოქცეული სარდიონისა, დარწმუნებულია, რომ იგი „თეთრების პროკლამაციას უკითხავს“, ამიტომ არ ღალატობს თავის გადაწყვეტილებას ნოდარი: „ორი უკიდურესი აზრი არსებობს: „ჯოჯოხეთია!“ ჰკივი შენ და შენიანები. „სამოთხეა!“ მარწმუნებენ სხვები. სიმაღლეს სადღაც შუაში უნდა იყოს. ჩავალ, ვნახავ და დავრწმუნდები“ (იქვე: 197).

სარდიონი ცხოვრობდა „საბჭოურ საქართველოში“ და აქ იხილა სინამდვილე, ადამიანი ფიქრობს მხოლოდ იმაზე, ფიზიკური სიცოცხლე შეინარჩუნოს, მშობლები და ცოლ-შვილი შეინახოს, ამიტომ მტკიცების ძალით ნოდარი არწმუნებს სარდიონს, დაბრუნდეს საზღვრიდან. აქვე ნახავს, როგორ გაუცხოვდა ცოლ-შვილი, მისი მომლოდინე დედა გარდაიცვალა. და ახლა მის ოჯახს ძველი მეგობარიღა პატრონობს, მიაღწევს. ტკივილით, ხავილით ამოდის ხმა გაუბედურებული ნოდარის პირიდან: „დედა ჰყავდა და აღარა ჰყავს, შვილი ეზრდებოდა და ვეღარც კი იცნო, ერთი მეგობარი – საყვარელი, უმაგიერო. ერთგული ცოლი ჰყავდა და ისიც მოჰპარეს“ (იქვე: 209).

თითქოს აღარც იმეძია, აღარც სიცოცხლე. მაშ, რაღა დარჩენია პიროვნებას, რომელსაც უცხოეთში ყოფნა აღარ უნდა. პატიოსანი მეცნიერი ერთი აზრითღა ცოცხლობს: გამოადგეს თავის ქვეყანას თავისივე აღმოჩენით. და ივიწყებს ნოდარი ყველაფერს, ამ აზრის გარდა. ლევანს კვლავ ხელს გაუწვდის და თავის გეგმებს გააცნობს: – „ფასდაუდებელი რამ არის, – ორ წელიწადში ქვეყანას შეატრიალებს და მილიარდებს მოგვცემს“ (ჯავახიშვილი 1959: 216).

„მაღლე მთელ ქვეყანას ამის ჭურჭელი მოედება, რადგან ძალიან ლამაზიც არის და არც ოდესმე გატყდება. ხის მრავალ ნივთსაც გასდევნის და ერთი სახლიც არ დარჩება, რომ გარედან მაინც აგურის და ქვის მაგივრობა არ გასწიოს. რკინა და ფოლადი დამძვლდა, დამძვლდა და მათი სახსნებელიც აღარ იქნება“ (იქვე: 217).

და აი, ლევანიც დააჯერა ნოდარმა. ორივენი აპირებენ, წავიდნენ „იქ“ და ეს საქმე გააცნონ. მაგრამ მოთხრობის დასასრულს ლევანის კითხვაზე, – ეს ფინჯანი რომ არ ჰქონოდა, მაინც დაბრუნდებოდა? – „რა თქმა უნდა, დავბრუნდებით! – უფრო ადრეც დავბრუნდებოდი“ (იქვე: 219).

აქ უკვე მოჩანს პატრიოტი კაცის სულის გამოხატულებაც. მთავარი სამშობლოში დაბრუნებაა, მაგრამ საჩუქრით – ეს საჩუქარი კი ფაიფურის ფინჯანია.

აღნიშნულ მოთხრობაზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაკლებია ლიტერატურათმცოდნეობითი შეფასება-ანალიზი XX საუკუნეში, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე მწერლისა და კრიტიკოსის როსტომ ჩხეიძის ლიტერატურულ-ბიოგრაფიულ რომანში – „კალამი გოლგოთაზე“ რამდენადმე მინიშნებულია მოთხრობა „ფინჯანის“ შესახებ. მიხეილ ჯავახიშვილის სტილის დასახასიათებლად: მწერალი წინასწარ ნაკლებად ხაზავდა ნაწარმოების გეგმას ჟურნალ „მნათობში“ პუბლიკაციისათვის: „ერთხანს „მნათობს“ წინასწარ გადაადებინებდა ხოლმე ორ-სამ ფორმას ან

ცოტა მეტს, ან ცოტა ნაკლებს, და მხოლოდღა ამის შემდეგ შეუდგებოდა მოთხრობის წერას – არც გადაამეტებდა და არც დააკლებდა.

ასე დაიწერებოდა „ორი განაჩენი“, „ოქროს კბილი“, „ფინჯანი“, „ქურდი“, „მესამე“..., ახლა რომ მიბრუნებოდა და გაეფართოებინა ის კალაპოტი – სარომანე თემა გამოეხსნა მოთხრობის არტახებიდან და შესაფერისადგ გაეშალა?... მაგრამ ვერა, ველარ მიუბრუნდებოდა უკვე ახალ თემებსა და განწყობილებაზე გადართული“ (ჩხეიძე 2021: 656). ეს კი ნამდვილად ეტყობა „ფინჯანს“. იქნება ღირდა თუ არ ღირდა, როგორ მიიღო ახალმა ხელისუფლებამ ემიგრანტის „საჩუქარი“.

აქვე კრიტიკოსი გამოკვეთს მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ ჟანრულ თავისებურებას, რომ „მისი შესაფერისი აღქმა ასე ერთბაშად რომ გამძლელებულიყო, რაც საერთოდ ნიშანდობლივია სიახლისათვის“ (იქვე: 962). ეს, ჩვენი ვარაუდით, საერთოდ ავტორის შემოქმედებითი მიმართულებისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი და, მით უფრო, „ფინჯანისათვის“.

ტიპაჟი მიხეილ ჯავახიშვილს რეალური ცხოვრებიდან აქვს აღებული. ფაიფურის წარმოება ევროპაში 1708 წლიდან იწყება გერმანიაში, მაისენში, XIX საუკუნიდან საფრანგეთში, სევრში, დაიწყო ორმაგი მარკირება ფაიფურისა. სწორედ სევრში მიიღო პრაქტიკული გამოცდილება მიხეილ ჯავახიშვილის გამირმა ნოდარ შუბიძემ.

ქართული ფაიფურის ისტორია იწყება 1925 წლიდან, როდესაც ახლად დაარსებულ სამხატვრო აკადემიას (1922) მიემატა კერამიკული სახელოსნო, რომლის გამგედ მხატვარ-კერამიკოსი ბორის შებუევი დაინიშნა, ეს ყველაფერი კი დაკავშირებულია ქართული ფაიფურის ისტორიის პირველ ეტაპთან. როგორც ზემოთ ითქვა, პერსონაჟი ნოდარ შუბიძე რეალობიდან გამომდინარე მიხეილ ჯავახიშვილმა. ნოდარ შუბიძე, სავარაუდოდ, უნდა წარმოადგენდეს პროტოტიპს ბორის შებუევისა, თუმცა მისი ისტორია შესაძლოა განსხვავდებოდა კიდევ მოთხრობის პერსონაჟისაგან. ჯავახიშვილისეული ტიპიზაცია, ერთის მხრივ, რეალობის დასტურია, მ. ჯავახიშვილის მოთხრობაში სწორედ XX საუკუნის 20-იანი წლები აისახა თავისი პერიპეტეებით, რაც განუმეორებელს ხდის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით.

გამოყენებული ლიტერატურა

გვერდწითელი 1967: გვერდწითელი გ., მიხეილ ჯავახიშვილი, მწერლის პორტრეტი. ჟურნალი „ცისკარი“, №6, 1967.

ჩხეიძე 2021: ჩხეიძე რ., კალამი გოლგოთაზე. თბილისი, 2021.

ჯავახიშვილი 1959: ჯავახიშვილი მ., რჩეული თხზულებანი, ექვს ტომად, ტ. II. თბილისი, 1959.

ჯალიაშვილი 2010: ჯალიაშვილი მ., კრებული ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე. თბილისი, 2010.